



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



დადგენილება:დ-27.27213634

თარიღი:29/12/2021

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №04

29 დეკემბერი 2021 წ.

ქ. თელავი

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი
სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და
თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების**

შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“, „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები დამტკიცდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დამტკიცდეს დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის №29 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge , 14/02/2018, 270070000.35.163.016407)“.

მუხლი 4. დადგენილება ძალაშია 2022 წლის 01 იანვრიდან.

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის
პირების თანამდებობრივი სარგოები

N	თანამდებობა	რაოდენობა	საბაზისო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი	ერთი თვის თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	1,1	4,1	4510
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	1,1	3,1	3410
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	1,1	2,7	2970
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1,1	2,2	2420
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	1,1	2,0	2200
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	12	1,1	1,6	1760

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობა	იერარქია	რანგი	შტატების რაოდენობა	საბაზისო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი	ერთი თვის თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს აპარატის უფროსი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	1,1	2,3	2530
2	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	1,1	1,6	1760
3	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	1,1	1,2	1320
4	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	IV	2	1,1	1,0	1100
5	საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	1,1	1,6	1760

6	საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	1,1	1,2	1320
7	საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	1,1	1,6	1760
8	საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	1,1	1,2	1320